საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. ჯახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-01/02-20 22.01. 2020 წ.

სახელმწიფო ინსპექტორს

ქალბატონ ლონდა თოლორაიას

ქალბატონო ლონდა

2020 წლის 21 იანვარს საქართველოს პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე,[1] რომელზეც განიხილებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე მომზადებულ სპეციალურ ანგარიში, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა საჯაროდ აჩვენა პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის საკანში გადაღებული ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომელიც შემდგომ დაიდო სპეციალური პენიტენციური სამსახურის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზეც.[2] გავრცელებული ვიდეოჩანაწერიდან ირკვევა ისიც, რომ ჩაწერა განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს, ხოლო მისი გავრცელება მოხდა 2020 წლის 21 იანვარს.

გავრცელებულ ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით მინისტრმა აღნიშნა, რომ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ მიირთმევს სახალხო დამცველის წარმომადგენელი პატიმრის მიერ მომზადებულ ყავას, ეწევა მის სიგარეტს, მიირთმევს პატიმრის შოკოლადს და სარგებლობს პატიმრისთვის განკუთვნილი სველი წერტილით (11:58:30-12:01:30 სთ). აღსანიშნავია, რომ კომიტეტის სხდომის ტრანსლირება ხდებოდა პარლამენტის ვებ-გვერდის,[3] მედიისა და სოციალური მედიის საშუალებებით.

გარდა ამისა, მინისტრმა საჯაროდ აჩვენა სამი ვიდეოჩანაწერი, რომლებშიც ჩანს, თუ როგორ ესხმიან თავს მსჯავრდებულები პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს (12:15:28-12:19:30 სთ). აღნიშნულ ვიდეოჩანაწერებში ჩანს სამსახურის თანამშრომლებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენელის სახეები, ხოლო ერთ-ერთ ჩანაწერთან დაკავშირებით, მინისტრი ასახელებს სახელს ასახელებს სახალხო დამცველის წარმომადგენლის სახელსაც (12:17:56 სთ). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია,

---

[1] http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komitetma-saxalxo-damcvelsa-da-iusticiis-ministrs-mousmina.page [22.01.2020]

[2] https://www.facebook.com/moc.gov.ge/videos/1665613716911839/ [22.01.2020]

[3] http://parliament.ge/ge/media/pirdapiri-eteri-94/kamera-meore [22.01.2020]

მოცემულ ვიდეოჩანაწერებში დაფარულია, მსჯავრდებულთა სახეები, თუმცა ეს არ გამორიცხავს დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა იდენტიფიცირებას სხვა გზებით.

მიგვაჩნია, რომ მითითებული ვიდეოჩანაწერების შენახვითა და გასაჯაროებით უხეშად დაირღვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პრინციპები და დამუშავების საფუძვლები. კერძოდ, მონაცემთა დამუშავება მოხდა თავდაპირველი მიზნისგან შეუსაბამოდ, დარღვეულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადები და არ არსებობს არც მონაცემთა სუბიექტების თანხმობა დამუშავებაზე და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ საიას მიერ 2020 წლის 21 იანვარს გავრცელებული განცხადება.[4]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განახორციელოს ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის შემოწმება. ამ მუხლით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ინსპექტორი.

აღნიშნული ფაქტების შესწავლა და მათზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოების გამო. უპირველეს ყოვლისა, გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში ჩანს დაწესებულებაში მოთავსებული პირის შეხვედრა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთან. მართალია, გავრცელებული კადრები არ მოიცავს აუდიოჩანაწერსაც, თუმცა მათი საჯაროდ ჩვენება საფრთხეს უქმნის სახალხო დამცველის მანდატის სანდოობას და მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სავარაუდო კანონდარღვევის ფაქტი ჩადენილია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ და გავრცელებული კადრების ტრანსლირება ხდებოდა როგორც მედიის, ისე სოციალური მედიისა და პარლამენტის ვებგვერდის საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით აუცილებელია სახელმწიფო ინსპექტორმა დაიწყოს მოკვლევა, რის გამოც, მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობა და განცხადებაში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

პატივისცემით,

სულხან სალაძე

თავმჯდომარე

---

[4] https://gyla.ge/ge/post/iusticiis-saministros-mier-ombudsmenis-tsarmomadgenlisa-da-patimris-chanatseris-gamoqveyneba-personalur-monacemta-dacvis-kanonmdeblobas-arghvevs#sthash.EsIMVdTY.dpbs [22.01.2020]